

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
ბრძანება

08.04.2008 წ.

№ 3/67

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №18-ში მდებარე შენობისათვის
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის
შესახებ

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის და მე-17 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. მოეხსნას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №18-ში მდებარე შენობას.
2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მონაცემების, ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.
3. ბრძანება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნების დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ან საქართველოს მთავრობასთან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

ნ. ვაჩეიშვილი